ხელშეკრულება № 41-2016
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **22 ივნისი 2016 წელი**

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, მუხლი 3. I პუნქტის, ს[1] ქვებუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ერთის მხრივ, **სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო"** შემდგომში „შემსყიდველი", ს/კ 204429494 მისამართი: 0104, საქართველო, ქ. თბილისი, 9 აპრილის ქ.2. სახელმწიფო ხაზინა - სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოსთვის" – 4003 ხაზინის ერთიანი ანგარიში GE24NB0330100200165022 ბანკის კოდი – TRESGE22. წარმოდგენილი -სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლოზ დიდიძის სახით,

და

მეორეს მხრივ, **შპს "ალტა"-ს** დირექტორი კახა ჭოველიძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი" ს/კ 211380691, მისამართი: თბილისი, ცინცაძის №5. საბანკო რეკვიზიტები: ბანკი „რესპუბლიკა", ა/ა GE83BR0000000006467370, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში 2 ცალი მობილური ტელეფონის შესყიდვა (CPV 32250000 - მობილური ტელეფონები).

1.2. ტექნიკური მახასიათებელი მოცემულია - დანართი №1-ში.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1 მისაწოდებელი საქონლის ღირებულება შეადგენს **888.00 ლარს** (რვაასოთხმოცდარვა). ერთეულის ფასი შეადგენს **444,00** ლარს (ოთხასორმოცდაოთხი). საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3 საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი იქნება ხარისხიანი და არ გამოავლენს ხარვეზებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს აღმოჩენილი ნაკლის გამოსწორება.

4.2 გარანტიის მოქმედების ვადად განისაზღვრება: მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 წლის განმავლობაში.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლისათვის, მირება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო დღის ვადაში.

5.2. ანგარიშსწორების ვალუტა- ლარი.

5.3 ანგარიშსწორების ფორმა- უნაღდო.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში.

6.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

6.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება შესაბმისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან (დოკუმენტაცია წარდგენილად ჩაითვლება მხოლოდ შემსყიდველის მიერ დადასტურების შედმეგ) 5 საბანკო დღეში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 ხელშეკრულების დამდეგ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელს არ აქვს უფლება, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულია ღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო თავად იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლისღირებულება.

11. ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულებაზე

11.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდანდ: თ. ცერცვაძე და ზ. გუბელიძე, მათი ფუნქციებია შესყიდვის სპეციფიკიდან გამომდინარე განახორციელონ კონტროლი მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

11.2. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყონ მიწოდებული საქონლის მიღება.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებს ან/და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებები სშესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არა ოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 28 ივლისამდე.

ხელშეკრულება შესრულებული და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი შემსყიდველს.

მხარეთა ხელმომწერები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ ,,სახელისუფლებო სპეციალური	შპს „ალტა“
კავშირგაბმულობის სააგენტო“	ს/კ 211380691
ს/კ 204429494	
_____ ბ. დიდიძე	_____ ვ. ჭოველიძე
სააგენტოს უფროსის მოვალეობის	დირექტორი
შემსრულებელი:	

საქონლის დასახელება	ტექნიკური პარამეტრები	რ–ბა	ღირებულება ლარში
მობილური ტელეფონი	Asus zenfone max ZC5500kl / Dual sim LTE black	2 ცალი	444.00
		სულ:	888.00

აქტი

შესყიდვის მიღება – ჩაბარების შესახებ

ქ. თბილისი 22.06.2016 წ

სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო“ (შემსყიდველი)
და
შპს „ალტა“ (მიმწოდებელი) ვადგენთ აღნიშნულ აქტს შემდეგზე:

1. „მიმწოდებელმა“ გადასცა ხოლო „შემსყიდველმა“ მიიღო **888.00** (რვაასოთხმოცდარვა) ლარის ღირებულების შემდეგი საქონელი:

საქონლის დასახელება	**ტექნიკური პარამეტრები**	**რ–ბა**	**ღირებულება ლარში**
მობილური ტელეფონი (CPV 32250000)	Asus zenfone max ZC5500kl / Dual sim LTE black	2 ცალი	444.00
		სულ:	888.00

“შემსყიდველმა” აიღო ვალდებულება „მიმწოდებელს“ უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადაუხადოს მიწოდებული საქონლის ღირებულება ეროვნულ ვალუტაში, წინამდებარე აქტის ხელმოწერიდან 5 საბანკო დღეში.

”შემსყიდველი”
სსიპ ,,სახელისუფლებო სპეციალური
კავშირგაბმულობის სააგენტო“
ს/კ 204429494

_____ ნ. დიდიძე
სააგენტოს უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი:

”მიმწოდებელი”
შპს „ალტა“
ს/კ 211380691
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი „რესპუბლიკა“,
ა/ა GE83BR0000000006467370,

_____ კ. ჭოველიძე
დირექტორი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

22 ივნისი 2016 წელი

ქვემოთ ხელმომწერნი ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან – შპს ,,ალტა“-სთან. ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით და ამავდროულად ვიზირებას ვაძლევთ ამ ხელშეკრულებას.

სატენდერო კომისია:

1. ზ. ლომიძე

2. მ. სამნიაშვილი

3. დ. ჯანელიძე

4. ნ.ფეიქრიშვილი

ხელშეკრულების დადებაზე

უფლებამოსილი პირი ნ.დიდიძე